ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ადიგენის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:**ბ112.112220604**

თარიღი:**01/03/2022**

ადიგენის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის “ე.ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის 3-ე პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.დამტკიცდეს:

ა) ადიგენის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფი დანართი 1 - ის შესაბამისად;

ბ) 2022 - 2023 წლების მუნიციპალიტეტის შიდა საბიუჯეტო კალენდარი დანართი 2 - ის შესაბამისად;

გ) საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოსაწოდებელი განაცხადის ფორმები 3-6 -ე დანართების შესაბამისად;

2.დაევალოს საფინანსო სამსახურის უფროსს (ხათუნა ჩაგუნავას) ერთი თვის ვადაში შეადგინოს:

ა) საბიუჯეტო კალენდართან (დანართი2) შესაბამისი, საბიუჯეტო ორგანიზაციებთან შეხვედრების განრიგი;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტების ნუსხა;

ბ) კითხვარი მოქალაქეთა გამოკითხვისთვის (რისთვისაც შესაძლებელია მოწვეული იქნეს ექსპერტი);

გ) ინსტრუქცია მოქალაქეებისაგან ახალი პროგრამების ინიცირების უზრუნველსაყოფად;

დ)რეკომენდაციები ახლად შემოთავაზებული პროგრამების პრიორიტეტულობასა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით;

ე) წლიური ბიუჯეტისა და პროგრამების შესრულების ანგარიშის ფორმები 7-8 დანართის შესაბამისად;

3.საფინანსო სამსახურმა, ადმინისტრაცულ სამსახურთან ერთად უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებასათან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია და საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის შესაბამისი სწავლების ორგანიზება;

4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის.ქ.ახალციხე, კ.მებაღიშვილის ქ.62);

5.ბრძანება ძალაშია კანონით დადგენილი წესით.

გოჩა ქიმაძე

ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი